საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავალიანი ლალი ავთანდილის ასული



ლ. ავალიანი

ავალიანი ლალი ავთანდილის ასული (დ. 20.VII.1939. თბილისი), ლიტერატურის ისტორიკოსი, ესეისტი, კრიტიკოსი, ფილოლოგიის დოქტორი (1969). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1962 წ.). 1970-73 კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. 1966-90 მუშაობდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ენისა და ლიტ-რის განყ-ბაში. 1990-იდან არის შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ასევე — ჟურნ. „კრიტიკისა“ და ალმანახ „მწიგნობრის“ რედკოლეგიის წევრი.

ა-ის ინტერესთა სფერო, ძირითადად, მოიცავს XX ს. ქართ. მოდერნისტული მწერლობის ახლებურად გააზრებას; ქართ. კლასიკისა და მოდერნიზმის ურთიერთმიმართებას, ტაბუდადებული სახელების გამომზეურებას, ქართ.-უცხ. ლიტ. ურთიერთობებს, ე.წ „საბჭოთა“ მწერლების აშკარა თუ შენიღბული შემოქმედებითი თავისუფლების წარმოჩენას.

1977 გამოვიდა მისი პირველი წიგნი „პაოლო იაშვილი“, 1992 — „ლიტერატურული წერილები“, 2005 — „დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი“. თანაავტორია კრებულებისა: „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“ (ნაწილი I, II, III; 2016, 2020, 2021), „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“ (2016), „ელენე დარიანის დღიურები. ტექსტი და ავტორი“ (2022).

მიღებული აქვს პრემია „საგურამო“ (2013), თსუ-ს მედალი (2016), გ. კიკნაძის სახელ. პრემია (2022).

თხზ.: „გიჟი დროის“ ქართული მწერლობა, თბ., 2005; ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე, თბ., 2005; პაოლო იაშვილი. მონოგრაფია, ესეები, თბ., 2017; XX- XXI სს. მოუთვინიერებელი მწერლობიდან თანამედროვე ნარატივამდე, თბ., 2020.

ს. მეტრეველი